

პროექტი PRINTeL

ინოვაციურ პედაგოგიკასთან დაკავშირებული ტრენინგები პორტოს უნივერსიტეტში

11 ნოემბრიდან 17 ნოემბრამდე, ევროკავშირის მიერ დაფინანსებული ERASMUS+ პროგრამის PRINTeL პროექტის ფარგლებში, საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის პროფესორ-მასწავლებლებმა მონაწილეობა მიიღეს ინოვაციურ პედაგოგიკასთან დაკავშირებულ ინტენსიურ TOT ტრენინგ-კურსებში, რომელიც გაიმართა პროექტის პარტნიორი, პორტუგალიის პორტოს უნივერსიტეტში.


პროფ. ნინო ჩხარტიშვილი (აგრარული მეცნიერებების და ბიოსისტემების ინჟინერინგის ფაკულტეტი; მევენახეობა - მეღვინეობის დეპარტამენტი), ასოც. პროფ. დალი სეხნიაშვილი (საინჟინრო ეკონომიკის, მედიატექნოლოგიებისა და სოციალურ მეცნიერებათა ფაკულტეტი; საინჟინრო ეკონომიკის დეპარტამენტი) და ასოც. პროფ. ნათია ქოჩლაძე (არქიტექტურის, ურბანისტიკის და დიზაინის ფაკულტეტი; ინტერიერის და დიზაინის დეპარტამენტი) იმყოფებოდნენ პორტოს უნივერსიტეტში TOT ტრენინგ კურსებში მონაწილეობის მისაღებად, რომელიც წარმოადგენს 5-დღიან ინტენსიურ ტრენინგს ინოვაციურ სწავლებაში და ითვალისწინებს შესაბამისი კვალიფიკაციის ტრენერებისა და ინსტრუქტორების მომზადებას, სწავლისა და სწავლების ინოვაციური მეთოდების მიმართულებით, თანამედროვე ტექნოლოგიების გამოყენებით.

ტრენინგი ჩატარდა პორტოს უნივერსიტეტის რექტორატის კორპუსში და მოიცავდა რამოდენიმე სწავლებისა და სწავლის სცენარს იმის შესახებ, თუ როგორ გამოვიყენოთ ვიდეო, როგორც სწავლების იარაღი კლასში (ჯგუფში) და კლასის (ჯგუფის) გარეთ. ნაჩვენები იყო პრაქტიკული მაგალითები და ის საშუალებები, რითაც მასწავლებელს შეუძლია სტუდენტების მოტივაციის და სასწავლო პროცესში ჩართულობის გაზრდა სწავლების ხარისხის ასამაღლებლად.


პირველი დღეს ტრენინგის მონაწილეებს გააცნეს კურსის შესავალი და წარუდგინეს პრეზენტაცია სწავლებასა და სწავლაში ვიდეოს გამოყენების შესახებ, რასაც მოჰყვა ვიზიტი მედია სტუდიაში.

თავის მხრივ, ტრენინგის მონაწილეებმა მასპინძლებსა და ტრენინგის თანამონაწილეებს გააცნეს თავიანთი მოლოდინები ხუთდღიანი სწავლების შედეგებთან დაკავშირებით და წარმოადგინეს თავიანთი „პერსონალური ბარათები“, რომლებიც პორტოში ჩასვლამდე იყო გადაგზავნილი მასპინძელ უნივერსიტეტში. იმავე დღეს საგანმანათლებლო ტექნოლოგიების განყოფილებამ ჩაატარა პრეზენტაცია ვიდეოს შექმნასთან დაკავშირების და კერძოდ, პანოპტოს პროგრამით ვიდეოს შექმნის შესახებ. აღნიშნული პროგრამა დანერგულია პორტოს უნივერსიტეტში.

ტრენინგს ატარებდნენ პორტოს უნივერსიტეტის მასწავლებლები: Maria Pinto, Maria João Ponces, Paula Silva და საგანმანათლებლო ტექნოლოგიების განყოფილების თანამშრომლები: Duarte Ferreira, Nuno Regadas და Margarida Amaral.



სამშაბათს ტრენინგის მონაწილეებს შესთავაზეს დაჯგუფებულიყვნენ ინტერესების მიხედვით (2-3 კაცი), რათა დაეგემათ საკურსო პროექტის (ვიდეო რგოლის) მოცულობა და განესაზღვრათ მისი შინაარსი. დღის პირველ ნახევარში თითოეულმა ჯგუფმა გადაიღო ფოტოები და ვიდეოები, რათა შეეგროვებინათ მასალა საკურსო პროექტისათვის. დღის მეორე ნახევარში დაიწყო მუშაობა საკურსო პროექტზე პანოპტოს პროგრამის გამოყენებით. ტრენინგს ატარებდნენ პორტუს უნივერსიტეტის მასწავლებელი Maria Pinto, მაგისტრანტი Matheus Salles, პორტუგალიელი ჟურნალისტი Daniel Catalão და საგანმანათლებლო ტექნოლოგიების განყოფილების თანამშრომელი Nuno Regadas.



ოთხშაბათს Nuno Regadas ტრენინგის მონაწილეებს დაათვალერებინა უნივერსიტეტის რექტორატის კორპუსში არსებული სტუდია, სადაც ხდება სასწავლო ვიდეოს ჩაწერა და გაუზიარა მათ თავისი გამოცდილება.




მეოთხე დღეს Fernando Remião კიდევ ერთი პროგრამა წარმოადგინა „Explain Everything“ და ტრენინგის მონაწილეებს შესთავაზა ამ პროგრამაში შეექმნათ მცირე ზომის ვიდეო, რასაც მონაწილეებმა წარმატებულად გაართვეს თავი ბატონი ფერნანდოს დახმარებით.

შემდეგი მომხსენებელი იყო Cecilia Silva, რომელმაც აჩვენა პორტოს უნივერსიტეტში შექმნილი სასწავლო ვიდეოები და ისაუბრა არსებულ ხარვეზებსა და დადებით მხარეებზე.



ტრენინგის ბოლო დღეს ჩატარდა მონაწილეების მიერ შექმნილი ვიდეოების პრეზენტაცია. თითოეულმა ჯგუფმა სათითაოდ წარადგინა მათ მიერ გაკეთებული ვიდეო. და ბოლოს, ხუთდღიანი ტრენინგის შედეგების შეჯამების მიზნით, მონაწილეებმა გამოთქვეს მათი აზრი ჩატარებული ტრენინგის შესახებ და მადლობა გადაუხადეს მასპინძლებს გაწეული შრომისათვის.



აღსანიშნავია, რომ სტუ-ს პროფესორები ტრენინგებზე მიღებულ ცოდნასა და გამოცდილებას გაუზიარებენ თავიანთ ქართველ კოლეგებს ტექნიკურ უნივერსიტეტში ორგანიზებული ტრენინგების საშუალებით, რომელიც მიზნად ისახავს სტუ-ში ინოვაციური პედაგოგიკის ელემენტების პოპულარიზაციასა და განვითარებას.

PRINTeL პროექტთან (პროექტი PRINTeL - „ცვლილება საკლასო ოთახში: ინოვაციური სწავლისა და სწავლების მხარდაჭერა სტუდენტთა სასწავლო პრაქტიკის გააქტიურებისთვის აღმოსავლეთ პარტნიორობის ქვეყნებში“) დაკავშირებით დამატებითი ინფორმაციისთვის იხილეთ [PRINTeL პროექტის ოფიციალური ვებგვერდი](#) და სტუ-ს საერთაშორისო ურთიერთობათა და სტანდარტების სამსახურის [ვებგვერდი](#).